



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



N 83
31/08/2018

83-07-4-201808311558



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №83
2018 წლის 31 აგვისტო
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული ცენტრს“ (ს/კ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონებები:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩოლობარგში მდებარე 4399.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ 27.04.51.274).

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციულ ერთეულის, სოფელ ლესაში მდებარე 2609.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 1147.34 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.10.46.003).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან

ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჯხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო